ხელშეკრულება 23 ⁄.

ქ.ზუგდიდი 30 მარტი 2013 წელი

შემსყიდველი:	*ზუგდიდი აკაკი წერეთლის სახელობის 1 საშუალო სკოლა*
მისამართი:	*ზუგდიდი, აღმაშენებლის 1*
საიდენტიფიკაციო კოდი:	*219985746*
მიმწოდებელი:	*შ.პ.ს. "სერვის ექსპრეს+", მისი გენ. დირექტორის მინდობილი პირის ოთარ მამასახლისის სახით*
მისამართი, ტელეფონი:	*ქ.თბილისი, ტ.ტაბიძის ქ. №43, ტელ: (+995 32) 312000, ფაქსი: (+995 32) 399300*
საიდენტიფიკაციო კოდი:	*404 858 542*
საბანკო რეკვიზიტები:	*სს "ვი თი ბი ბანკი ჯორჯია", ბ/კ 220 101 670, ანგ. № GE83VT7000000121243602*

ერთის მხრივ - ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის 1 საშუალო სკოლის დირექტორი-ნინო გოგინავა შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ - შპს „სერვის ექსპრეს+“, მისი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის ოთარ მამასახლისის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონის მე-10 მუხლის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მომსახურების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა - *ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის 1 საშუალო სკოლის კუთვნილი თანხებით;*

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ მომსახურებას წარმოადგენს: ნოუთბუქის შეკეთება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესასყიდი მომსახურების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება შეადგენს 130 (ას ოცდაათ) ლარს.

მუხლი 3. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს;

3.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა *2013 30 აპრილი.*

4.2. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ.თბილისი.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტით;

5.2. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დასტურდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტით;

5.3. თუ მომსახურების გაწევის პროცესში აღმოჩნდება, რომ შესყიდვის მომსახურება უხარისხო ან ნაკლოვანია, რაც დაფიქსირდება მიღება-ჩაბარების აქტში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ნაკლოვანი ან უხარისხო მომსახურების ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი და პირობები

6.1. შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებებლი“ ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ;

7.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება;

7.1.3. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

7.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.2.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ასევე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2. მითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით;

7.2.3. მოსთხოოვოს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული, და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2. გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

7.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას „შემსყიდველს“ აცნობოს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.4.1. წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია: საგადასახადო ანაგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ შემოწმების და მოწონების შემდეგ და მოითხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალედბულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

7.4.3. მოსთხოვს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

8.1. მხარეთა მიერ დარღვეული უფლების შესახებ პრეტენზიის გაცხადების ვადაა 30 დღე იმ მომენტიდან, როცა მხარემ შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ მეორე მხარის მიერ არ იქნა შესრულებული ვალდებულება;

8.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს ის ზიანი, რაც წარმოიშვა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. ზიანის ოდენობას მხარეები დაადგენენ მოლაპარაკების გზით, ხოლო თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები ვერ შეთანხმდნენ, საქმეს ერთ-ერთი მხარის სასარჩელო განცხადების საფუძველზე განიხილავს სასამართლო;

8.3. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა პირობების დარღვევისას

9.1. მიმწოდებელი თავისი მიზეზით ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ფასის 0.2 %-ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით შეტყობინების საფუძველზე შემსყიდველს დაურიცხოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.2 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და შეიტანონ ცვლილება მოქმედ ხელშეკრულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

მუხლი 11. ფორსმაჟორი

11.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული (სტიქიური და ტექნიკური კატასტროფები, ხანძარი, საომარი მოქმედებები, სამთავრობო გადაწყვეტილებები, და სოციალური აფეთქბები და სხვა) გარემოებების გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

11.2. ფორსმაჟორული გარემოებების დროს მხარეები ამ გარემოებების დასრულებამდე თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან;

11.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა ფორსმაჟორული გარემოება, მოვალეა ამის შესახებ 2 კალენდარული დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული მდგომარეობის შესაძლო ხანგრძლივობის და სავარაუდო შეწყვეტის დროის მითითებით;

11.4. თუ მხარემ მეორე მხარეს დროულად არ აცნობა შექმნილი ფორსმაჟორული გარემოების შესახებ, იგი მოვალეა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების მოქმედების დროს მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2.არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4.წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

14.5.წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

14.6.დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

14.7.მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავსირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.8.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

14.9.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მომწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის თანხმობის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობი შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
ნინო გოგინავა	ოთარ მამასახლისი
ზუგდიდის, აკაკი წერეთლის 1 სკოლი დირექტორი	შპს "სერვის ექსპრეს+"-ის გენერალური დირექტორის მინდობილი პირი
ბ.ა.	ბ.ა.